

2010 წლის შემჯამებელი პროფესიული სამიტი

ეროვნული პროფესიული საბჭოს გაფართოებული სხდომის ოქმი

30 დეკემბერი, 2010

საქართველოს უნივერსიტეტის საკონფერენციო დარბაზი

დღის წესრიგი:

1. პროფესიული სამიტის გახსნა - ირინე ქურდაძე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე;
2. განათლების ევროპული ფონდის მიერ საქართველოს განათლების სისტემაზე გაკეთებული ანგარიშის მიმოხილვა: არსებული მდგომარეობა და გამოწვევები - დავით კერესელიძე, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
3. პროფესიულ სტანდარტებზე საერთო კონსენსუსის მიღწევის მიზანშეწონილობა - დავით კერესელიძე, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
4. დისკუსია და შეჯამება.

ეროვნული პროფესიული საბჭოს გაფართოებულ სხდომას ესწრებოდნენ ეროვნული პროფესიული საბჭოს წევრები, სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები, ცალკეული ექსპერტები და სხვა დაინტერესებული პირები.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ, ირინე ქურდაძემ, მადლობა გადაუხადა საქართველოს უნივერსიტეტს სამიტის მასპინძლობისთვის და აღნიშნა, რომ 2010 წელი გამოირჩეოდა ბევრი სიახლით, როგორც ზოგად, ისე პროფესიულ და უმაღლეს განათლებაში. დღეს საქართველოში სულ უფრო იზრდება ინტერესი პროფესიული განათლებისადმი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. სახელმწიფო ახორციელებს მნიშვნელოვან რეფორმას პროფესიული განათლების განვითარებისა და პოპულარიზაციის მიზნით; დამტკიცდა რეფორმის სტრატეგია, განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები, ჩამოყალიბდა ეროვნული პროფესიული საბჭო, ჩამოყალიბდა კვალიფიკაციების ჩარჩო, შემუშავდა პროფესიული სტანდარტები, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტთა ჩარიცხვის წესი,

პროფესიული განათლების დაფინანსების წესი და სხვ. მნიშვნელოვანია რომ ეს რეფორმა უნდა გაგრძელდეს საზოგადოების მხარდაჭერით და განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მოუწოდებს ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებას, პარტნიორ ორგანიზაციებს, დაინტერესებულ პირებს მიიღონ აქტიური მონაწილეობა ამ პროცესში.

განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის დირექტორმა, დავით კერესელიძემ მოწვეულ სტუმრებს გააცნო ევროპის განათლების ფონდის მიერ შემუშავებული დოკუმენტი, რომელიც აფასებს პროფესიული განათლების სისტემას 2010 წლის თებერვლის მდგომარეობით. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საქართველოში არ არსებობს პროფესიული განათლების სისტემა, როგორც დამოუკიდებელი სვეტი, არ არსებობს კვალიფიკაციების ჩარჩო, კვალიფიკაციების დონეები, არ არსებობს კვალიფიკაციათა ნუსხა -კლასიფიკატორი, არ ხდება არაფორმალური განათლების აღიარება, არ არსებობს დამტკიცებული სტანდარტები, ხელისუფლება არ არის ჩამოყალიბებული თუ ვის მიაკუთვნოს სტანდარტების შემუშავების ფუნქცია და სხვ. ბ-ნმა დავით კერესელიძემ ისაუბრა იმ ცვლილებებზე, რომელიც პროფესიული განათლების სფეროში განხორციელდა თებერვლის შემდეგ და აღნიშნა, რომ დღეს უკვე სხვაგვარი რეალობის წინაშე ვდგავართ: არსებობს კვალიფიკაციების სისტემის ჩამოყალიბების ხედვა, არსებობს პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩო, რომელიც ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შემადგენელი ნაწილია, არსებობს პროფესიული განათლების დონეები, გამოიკვეთა პროფესიული სტანდარტების მომზადებაზე პასუხისმგებელი უწყებები, არსებობს არაფორმალური განათლების აღიარების ხედვა. ეს და სხვა ფაქტები აბათილებს ევროპის განათლების ფონდის დოკუმენტში დასმულ პრობლემებს და გვაძლევს საფუძველს, რომ მიმდინარე წელი წარმატებულად შევაფასოთ.

ბ-ნმა დავით კერესელიძემ ასევე წარმოადგინა მოხსენება პროფესიული სტანდარტების შესახებ. მიმდინარე წელს მომზადდა 350-მდე სტანდარტი, რომელთაგან ნაწილი უკვე დამტკიცების სტადიაშია, ნაწილი კი - განხილვის პროცესში. აღინიშნა, რომ 31 დეკემბერს დამტკიცდება 100-ზე მეტი პროფესიული სტანდარტი საინჟინრო, სახელოვნებო, ჯანდაცვის, ბიზნესის ადმინისტრირებისა და სოციალური მეცნიერებების მიმართულებით.

სამიტის დასასრულს სიტყვით გამოვიდნენ პროფკავშირების, დამსაქმებელთა ასოციაციის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები, რომელთაც აღნიშნეს, რომ გაწეული მუშაობა მხოლოდ პირველი ეტაპია და მნიშვნელოვანია, რომ სოციალური პარტნიორების მხარდაჭერით პროფესიული განათლების რეფორმა უნდა გადავიდეს შემდგომ ეტაპებზე.

სხდომის თავმჯდომარე:

ირინე ქურდაძე

სხდომის მდივანი:

თამარ სამხარაძე